Research

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

ნოემბერი 2020

- 2020 წლის ნოემბერში, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 93.1%-ით შემცირდა. მათ შორის, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 91.6%-ით შემცირდა, ხოლო საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 88.3%-ით.
- სასტუმროს ფასების ცვლილებები აჭარასა და გურიაში ტურიზმის შემცირებას ყველაზე კარგად ასახავს. 2020 წლის ნოემბერში, სასტუმროების ფასების წლიური ინდექსი გურიაში 45.8%-ით, ხოლო აჭარაში 28.5%-ით შემცირდა. სხვა რეგიონებში სასტუმროს ფასები არ იძლევა განთავსების ბაზრის ზუსტ სურათს COVID-19 პანდემიის გამო.
- შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 2020 წლის მესამე კვარტალში, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 5.6% -ით შემცირდა.
- მეგობრებისა და ნათესავების მონახულების მიზნით განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 2020 წლის მე–3 კვარტალში ყველაზე მეტად, 19.8%-ით შემცირდა, 2019 წლის მე-3 კვარტალთან შედარებით. მეორე მხრივ, ვიზიტების რაოდენობა სხვა სახლის მონახულების მიზნით (აგარაკი, კოტეჯი და ა.შ.) 2020 წლის მე-3 კვარტალში, 2019 წლის მე-3 კვარტალთან შედარებით, 45.4%-ით გაიზარდა. შესაძლოა, ვიზიტის მიზნობრივობის სტრუქტურაში ამ ცვლილებების ძირითადი გამომწვევი მიზეზი იყოს მოგზაურობის შიში, რომელიც გამოწვეულია COVID-19 პანდემიით.

საქართველოში ადგილობრივი ვიზიტების მიზნობრიობის მიმოხილვა

COVID-19 პანდემიამ ტურიზმის სექტორი მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეაჩერა. დახურული საზღვრებისა და ნულთან ახლო საერთაშორისო ვიზიტორების პირობებში, გაჩნდა მოლოდინი, რომ რადგან ხალხს არ შეეძლო საზღვარგარეთ მოგზაურობა, შიდა ტურიზმი გაიზრდებოდა და ნაწილობრივ აანაზღაურებდა საერთაშორისო ვიზიტორების ნაკლებობისგან შექმნილ დანაკარგებს. საქართველოში ეს მოლოდინი უფრო მეტად აქტუალური იყო, რადგან ქვეყანა ზაფხულის სეზონს (ივლისი-სექტემბერი, რომელიც ასევე ემთხვევა ნლის მესამე კვარტალს) მოგზაურობისთვის ხელსაყრელი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობით შეხვდა. თუმცა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ადგილობრივი ვიზიტორების გამოკითხვის საფუძველზე, 2020 წლის მე–3 კვარტალში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შემცირდა 5.6%–ით. შიდა ტურიზმმა ვერ მოახერხა საერთაშორისო ტურიზმის ანაზღაურება, თუმცა, 2020 წლის მე-3 კვარტალში მაინც შთამბეჭდავი შედეგები დაფიქსირდა, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი უარყოფითი ფაქტორების ფონზე (პანდემიის გამო მოგზაურობის შიში და 2 პოპულარული ტურისტული მიმართულების, მესტიასა და ბათუმის ჩაკეტვა). უფრო მეტიც, 2020 წლის მე–3 კვარტალში ვიზიტების რაოდენობის კლება დაფიქსირდა მხოლოდ 2019 წლის მე–3 კვარტალში დაფიქსირებული შედეგის გამო. სინამდვილეში, 2020 წლის მე–3 კვარტალი საუკეთესო წელი იყო შიდა ვიზიტების რაოდენობის მხრივ ბოლო 5 წლის განმავლობაში, 2019 წლის გამოკლებით.

ადგილობრივი ვიზიტორების მიერ მათი ვიზიტის მიზნობრიობის მიხედვით, "მეგობრების/ნათესავების მონახულება" დომინირებს, რომელსაც 2016-2019 წლების მე-3 კვარტალში ვიზიტების სულ მცირე 45%-ს იკავებს. თუმცა, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2020 წლის მე-3 კვარტალში ამ კატეგორიის ვიზიტების რაოდენობა ყველაზე მეტად შემცირდა, როგორც პროცენტულად (-19.8%), ისე მოცულობის მხრივ (-373 ათასი ვიზიტი). შედეგად, ამ კატეგორიის წილი მთლიან ვიზიტებში 6 პროცენტული პუნქტით შემცირდა (2019 წელს 45%-დან 2020 წელს 39%-მდე). სავარაუდოდ, შიდა ვიზიტორები ყველაზე მეტ სიფრთხილეს იჩენდნენ მეგობრებთან და ნათესავებთან მოგზაურობისას და ეს სიფრხილე შეიძლება წარმოადგენდეს ამ კატეგორიის ვარდნის მთავარ მიზეზს. მსგავსი ლოგიკა ვრცელდება კატეგორიაზე "დასვენება, გართობა და რეკრეაცია" თუმცა აღნიშნული კატეგორიის შემცირების მასშტაბი შედარებით მცირე იყო: ამ კატეგორიის ვიზიტების რაოდენობა 13.1%-ით შემცირდა, ხოლო მისი წილი მთლიან ვიზიტებში 2 პროცენტული პუნქტით შემცირდა (2020 წელს, 2019 ნელთან შედარებით). ამის საპირისპიროდ, კატეგორიაში "სხვა სახლის მონახულება (აგარაკი, კოტეჯი და ა.შ.)", რომელიც, სავარაუდოდ, წარმოადგენს კატეგორიას რომელიც ყველაზე ნაკლებად იწვევს მოგზაურობის შიშს, ვიზიტების რაოდენობის განსაკუთრებით დიდი, 45.4%-იანი ზრდა დაფიქსირდა (2020 წელს, 2019 წელთან შედარებით), ხოლო მისი წილი ამავე პერიოდში გაიზარდა 12%-იდან 18%-დე.

რეგიონი, სადაც 2020 წლის მე-3 კვარტალში ვიზიტების რაოდენობა 2019 წლის მე-3 კვარტალთან შედარებით ყველაზე მეტად შემცირდა, არის ყველაზე პოპულარული ზღვისპირა რეგიონი, აჭარა (-22.4%). ხარჯების კატეგორია, რომელმაც ყველაზე მეტად დაიკლო არის "დასვენება, გართობა, რეკრეაცია, კულტურული და სპორტული ღონისძიებები"(-25%).

მესამე კვარტალში ადგილობრივი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა (მლნ) მიზნობრიობის მიხედვით, და თითოეული კატეგორიის წილი მთლიან ადგილობრივ ვიზიტებში 2016-2020



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასტუმროს ფასების ინდექსი

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2020 ნოე/ 2020 ოქტ	2020 ნოე/ 2019 ნოე	2020 ნოე/ 2020 ოქტ	2020 ნოე/ 2019 ნოე	2020 ნოე/ 2020 ოქტ	2020 ნოე/ 2019 ნოე
კახეთი	-3.6%	12.6%	-8.6%	0.9%	-1.9%	15.7%
იმერეთი	-2.5%	9.6%	-5.9%	16.7%	0.1%	5.1%
გურია	6.7%	-45.8%	-3.6%	-55.0%	24.3%	-40.5%
ქვემო ქართლი	-4.8%		-4.8%			
აჭარა	-3.9%	-28.5%	-2.2%	-40.8%	-5.9%	-12.4%
რაჭა	-1.1%	-15.0%			-1.1%	-15.0%
შიდა ქართლი	-1.8%	13.3%	-5.4%	30.0%	0.0%	8.2%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1.4%	-8.1%	-3.5%	-19.7%	4.7%	-5.8%
სამცხე-ჯავახეთი	-2.7%	-3.2%	-7.2%	-3.7%	0.4%	-2.5%
მცხეთა-მთიანეთი	-8.1%	6.0%	-15.6%	10.0%	0.0%	5.3%
თბილისი	-8.1%	1.0%	-7.9%	1.0%	-11.8%	1.8%
სულ ფასების % ცვლილება	-5.8%	-5.2%	-6.9%	-8.8%	-7.8%	-2.6%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2020 წლის ოქტომბერში, 2020 წლის სექტემბრის ფასებთან შედარებით და 2019 წლის ოქტომბრის ფასებთან შედარებით.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2020 წლის ნოემბერში, 2020 წლის ოქტომბერთან შედარებით, 5.8%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი შემცირდა 6.9%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები შემცირდა 7.8%-ით.

2020 წლის ნოემბერში, 2019 წლის ნოემბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 5.2%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 8.8%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2.6%-ით შემცირდა.

სასტუმროს საშუალო ფასები

2020 წლის ნოემბერი, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] 113 ლარი შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - 176 ლარი. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა ნოემბერში 67 ლარი შეადგინა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ნოემბერში 350 ლარი შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 415 ლარი შეადგინა, კახეთში - 397 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 390 ლარი, ხოლო გურიაში 387 ლარი.

საბაზისო ეკონომიკური ინდიკატორები

	III 2018	IV2018	2018	I 2019	II 2019	III 2019	IV 2019	2019	I 2020	II 2020	III 2020
1	534.5	468.6	1800	426*	498.5*	605.7*	541.9*	2072.1*	451.9*	278.4*	-
2	3226.4	1891.1	8679.5	1617.5	2244.8	3375.1	2120.4	9357.9	1333.1	114.2	150.3
3	1838.3	984.7	4756.8	882.1	1245	1863.6	1089.7	5080.5	765.3	82.3	113.6
4	1210.6	650.8	3222.1	578.4	877.6	1126.8	685.8	3268.7	427.7	28.8	42.6
5	149.9	142.4	524.7	131.3	167.9	181.6	176.2	657.2	124.1	13.5	–
6	45.2	19.1	82.3	57.8	19.7	36.1	6.6	120.2	15.7*	3.0*	7.9*

1 მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)

3 ტურისტების რაოდენობა (ათასი)

4 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)

5 ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცი--რე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.